დმანისის მუნიციპალიტეტის
მერი

ქ. დმანისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1958

04/09/2019

1958-07-4-201909041555

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზაქლოში მდინარის დაღრმავებისა და მილხიდების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „ გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ვბრძანებ:

1. დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზაქლოში მდინარის დაღრმავებისა და მილხიდების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების (cpv-71300000 - საინჟინრო მომსახურებები) შესყიდვა განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვროს შესაბამისი ხელშეკრულებით).

2.დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილებას, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებამდე, სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელება შეათანხმოს სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან“.

3.სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის შემთხვევაში მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა მოამზადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადგენილი წესით.

4.კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

5.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოს დმანისის მაგისტრატ სასამართლოში (ქ. დმანისი წმინდა ნინოს ქ. N42).

გიორგი ტატუაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

dmanisi municipality

Digitally signed by dmanisi municipality
Date: 2019.09.04 15:56:52 +04'00'